საქართველოს კარიტასი

Tel./Fax, ტელ/ფაქსი: (+995 32) 221 78 19, 225 13 87 Mob/მობ. (+995)591 229 700
E-mail/ელ-ფოსტა: caritas-georgia@caritas.ge
Office address: 45, B. Zhghenti street, Nutsubidze Plateau II, 0183 Tbilisi, Georgia
მისამართი: ნუცუბიძის II მ/რ., ბ. ჟღენტის ქ. #45, 0183 თბილისი, საქართველო
Website/ვებ-გვერდი: www.caritas.ge, www.facebook.com/CaritasGeorgiaOfficial

CG R-73 478/24

ქალაქი თბილისი

21/11/2024

რწმუნებულება

ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი (ს/კ 405033501) წარმომადგენლობით უფლებამოსილი პირი, დირექტორი **ანაჰით მხოიან** (პ # 01691016186) მოიჯარე **შპს ელ ჯი ჯი შოფის** (ს/კ 405683345) (შემდგომში რწმუნებული), უფლებამოსილი პირი დირექტორს **ზურაბ გიორგაძეს** (პ# 01019006178), წინამდებარე რწმუნებულებით, ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

1. რწმუნებული იცავს მარწმუნებლის ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესებს, ამ მიზნით რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებელი წარმოადგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურშიუ, მუნიციპალურ ინსპექციაში, მარწმუნებლის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების ნაწილზე, კერძოდ: მისამართი: ქალაქი თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა #23, #4 შენობიდან 306.50 კვმ ფართი, #5 შენობა სრულად 140.00 კვმ ფართი, საკადასტრო კოდით 01.12.12.001.065, ფასადის ცვლილების, სარეკლამო აბრის განთავსებასთან დაკავშირებით, შეადგინოს შესაბამისი პროექტი, მოახდინოს არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, დამტკიცება, შეიტანოს პროექტში ცვლილებები და/ან დამატებები, გააგრძელოს შესაბამისი ნებართვის ვადა, განახორციელოს შეთანხმებული პროეტის კორექტირება, ატვირთოს, დაარეგისტრიროს და გააგზავნოს დოკუმენტები ელექტრონულად.
2. მარწმუნებელი წარმოადგინოსკერძო და საჯარო პირებთან აზომვითი ნახაზის, პროექტის შედგენისას, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურთან, მიიღოს ნებართვა, აწარმოოს შესაბამისი სამშენებლო სამუშაოები და მოახდინოს შეცვლილი ფართის ექსპლუატაციაში მიღება.
3. რწმუნებული უფლებამოსილია, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე შპს ელ ჯი ჯი შოფი
4. (ს/კ 405683345) დარეგისტრირდეს აბონენტად გგაზმომარაგების/ წყალმომარაგების /ელექტრომომარაგების კომპანიებში, მათ შორის კომპანია თელასიში, თელმიკოში, წყალკანალში, ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში, ენერგო პრო ჯორჯიაში, სოკარ ჯორჯია გაზიში, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში, დასუფთავების სამსახურში, ახალ ქსელებში, სილქნეტში, მაგთიკომში და სხვა კომპეტენტურ ორგანოებში, რათა დარეგისტრირდეს/აღირიცხოს აღნიშნულ უძრავ ქონებაზე აბონენტად. იგი

უფლებამოსილია შეიყვანოს, დაამონტაჟოს მრიცხველი და ჩაატაროს გაზმომარაგების/ წყალმომარაგების /ელექტროენერგიით მომარაგებასთან დაკავშირებული სამუშაოები, დარეგისტრირდეს აბონენტად. ამისათვის შეიტანოს ყოველგვარი განცხადება (მათ შორის ელექტრონულად), მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა და სხვა დოკუმენტი ან/და მისი დუბლიკატი, მოაწეროს ხელი ყველა შესაბამის დოკუმენტს/ხელშეკრულებას, თანხმობას, ნებართვას, გადაიხადოს გადასახადები და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალებების შესრულებასთან".

5. აღნიშნული რწმუნებულების განსახორციელებლად, რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის შეთანხმებაზე/ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, განცხადების შეტანა, დოკუმენტაციის წარდგენა-მიღება, განცხადებაზე ხელმოწერა.
6. არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი, იმის გამო, რომ წინამდებარე რწმუნებულებაში რწმუნებულის უფლებამოსილებანი სრულად არ არის ჩამოთვლილი. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად;
7. რწმუნებული ვალდებულია რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით, მარწმუნებელს მიაწოდოს ინფორმაცია დავალების შესრულების და მიმდინარეობის შესახებ, დავალების შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს ანგარიში;
8. რწმუნებული მოქმედებს საკუთარი ხარჯით და მარწმუნებელთან დადებული იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში.
9. წინამდებარე აქტი მოქმედებს ერთი წლის ვადით, 2025 წლის 20 ნოემბრამდე.
10. წინამდებარე აქტის მოქმედება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით.

ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი

დირექტორი **ანაჰით მხოიან**

Charitable Foundation Caritas Georgia

Digitally signed by Charitable Foundation Caritas Georgia
Date: 2024.11.22 09:48:51 +04'00'